სახალხო გაზეთი

№ 218 პარასკევი, 28 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 218

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 51 (9)
კვირას, 30 იანვარს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

ისტორ. დრ. 5 მოქ. გ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, გუნია, გვარამე, ყიფიანე, ზარდალიშვილი, მესხი, მდივანი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.
ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგ.-ბისა. რეჟისორი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

შემდეგი ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, 2 თებერვალს წარმოდგენილი იქნება „მეფე ივანე IV მრისხანე“. (3—1027—1)

ავჭალის სახალხო აუდიტორია
შაბათს, 29 იანვარს, 1911 წელს.

მარიამ ივანეს ასულ დემურიას გარდაცვალების წლის თავზე, მის ხსოვნის პატივსაცემლად ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით ავჭალის სახალხო თეატრის სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება:

„მეზობლები“

დრამა 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, თ. გოგოლაშვილი, ელ. მესხიშვილი, ნაკაშიძე და ს. რომანიშვილი. ბ-ნნი: გ. ანანიაშვილი, ა. ალექსიძე, მ. ინაშვილი, ა. ნარი, ს. პეპანოვი, ს. რომანიშვილი, გ. ჯაბაური, და სხ.

ადმინისტრატორი თ. დოლიძე. რეჟისორი გ. მ. გედევანოვი.
მორიგი წევრნი სოფ. მგალობლიშვილი, ვ. რაქვიაშვილი.
დასაწყისი საღამოს 7½ ს.

წარმოდგენის წინად თ. გოგოლაშვილი წაიკითხავს მ. დემურიას ბიოგრაფიას და აღნიშნავს მის ღვაწლს სახალხო წარმოდგენების შესახებ. (2—უ.—1)

იბეჭდება და თებერვლის პირველ რიცხვებში დაურიგდება ხელის მომწერლებს თებერვლის ნომერი ჟურნალ

„განათლებისა“

შემდეგის შინაარსით: 1. როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება (სურათებით), იაკობ გოგებაშვილისა. 2. შეგნებით კითხვა დ. თ—ძისა. 3. ფსიხო-ფიზიოლოგია ადამიანის და ცხოველების გრძნობათა ორგანოები პროფ. როგესსე და ფ. დოვლეინი. 4. ინდოელი ბრძენი ბუდდა (სურათით) კახაბერისა. 5. თავ. მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (სურათით) პროფ. ალ. ხახანაშვილისა. 6. სხვა და სხვა ჩვეულებანი საინგილოში ზ. ედილისა. 7. ავადმყოფი (ლექსი) აკაკისა. 8. თოხიანი (მარკ-გამის.) ლექსი დუტუ-მეგრელისა. 9. ბრმა ძალა (თარგმანი) ვალიკოსი. 10. წუწკი მშიერის მასპინძელი (იგავი „ქილილა და დამანიდან“) თ. მაგმაძისა. 11. შენანებული ცოდვილი (ტოლსტოისა) მ. კაკაბაძისა. 12. ბუნების წიაღში (ლექსი) დ. თურდოსპირელისა. 13. სად ხარ? (ლექსი) ლადო გეგეჭკორისა. 14. სიზმრად (ლექსი) ბაჩანასი. 15. სოციოლოგია (წერილი მეორე) სიმ. ავალიშვილისა. 16. შინაური მიმოხილვა—საკითხი სტიპენდიების შესახებ იპ ვართაგავასი. 17. მცირე შენიშვნა საყურადღებო საგანზე დედისა. 18. კიდევ სახალხო მასწავლებლების პენსიის გამო. 20. არითმეტიკის გაკვეთილები დაწყებს სკოლებში. 20. უცხოეთი. 21. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია-არითმეტიკის სახელმძღვანელო ე. ხრამელაშვილისა დავ. ჭადაგიძისა და სხვ. ჟურნალი ჩვეულებრივზე მოდიდო გამოვა 16 გვერდით; შარშანდელ ხელის მომწერთ, გახაც არ განუახლებიათ ხელის მოწერა თებერვლის ნომერი არ გაეგზავნებათ. ჟურნალი წლიურად ღირს სამი მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 2 მანეთი.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія
Л. Г. Боцвадзе.

(2—უ.—1) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლომბაძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—381)

ექიმი ე. ვ. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—804

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქინოვის ქუჩა N 7. თ.—180—75

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ისინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა. გორისა და ბაქო'სთვის.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

გამოვიდა და ისყიდება

ი. გრიშაშვილის ლექსები „ოცნების კოცნა“.

(1—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წო.—ნ.—544)

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენე- [illegible] ბათა სიფილისის და კანის სნეულებათა ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ჟორჟოლიანის სახლი, (50—15—14

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოჯინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში
სინჯავს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—71

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირაობით მხოლოდ საღამოს 6—7 საათამდე დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—35)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., N 9. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზენის ქ. ტელეფონი N 816.

ქ. ქუთაისში
ქირურგიული და დედათა სნეულებათ
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ივ. ზოკერიასი
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—28)

ტფილისი, 28 იანვარი

უთანხმოება. იმ კამათს, რომელიც სათათბიროში სწარმოებდა ქალაქ პეტერბურგის იძულებითი გაჯანსაღების შესახებ, ფრიად დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. იმ კანონ-პროექტის ძალით, რომელსაც თავ-გამოდებით იცავდა სტოლიპინი სათათბიროში, მთავრობას ნება ეძლეოდა უმაღლესის ბრძანებით ჩამოერთმია პეტერბურგის გაჯანსაღების საქმე ქალაქის თვითმმართველობისთვის. სათათბიროს ოპოზიცია წინააღმდეგი იყო პროექტის ამ ნაწილისა, მაგრამ ოქტომბრისტებმა აქაც საკომპრომისო თორმეტი შიამოშაის. ერთის ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა წინადადება მატიუნინისა, რომ, თუ ქალაქის თვითმმართველობამ თვითონ ვერ მოახერხა საქმის რიგიანად დაყენება, მთავრობას შეუძლიან სათანადო საკანონმდებლო წინადადება შეიტანოს სახელმწიფო სათათბიროში. არსებითად მთავრობა გაპარჯვებული დარჩა, რადგანაც ამ წინადადებაშიაც კატეგორიულად არ არის უარყოფილი უფლება მთავრობისა ქალაქის თვითმმართველობის საქმეებში ჩარევისა. ამ წინადადებას მხოლოდ შემდეგი დროისთვის გადააქვს ის, რასაც მთავრობა თხოულობს. თუ სამინისტროები ისევე მოექცევიან ქალაქის თვით-მმართველობას, როგორც დღემდე ეკიდებოდნენ, ცხადია, პეტერბურგის თვითმმართველობა ვერას გზით ვერ მოახერხებს ასეთ დიდი საქმის გაკეთებას. მაშინ მთავრობაც ისარგებლებს თავისის უფლებით და სათანადო საკანონმდებლო წინადადებას შეიტანს სათათბიროში. სულ სხვანაირი სურათი გადაიშლებოდა ჩვენს თვალ-წინ, სათათბიროს რომ ოპოზიციის აზრი მიეღო და კანონპროექტის მეორე-ნახევარი უკუ-ეგდო. მაგრამ სათათბიროს ხელმძღვანელმა პარტიამ ორჭოფული პოზიცია დაიჭირა, არც ცხადად გამოესარჩლა ქალაქის თვით-მმართველობათა ხელ-შეუხებლობას და არც მთავრობის კანონ-პროექტი მიიღო სავსებით. ამ გარემოებამ დაჰბადა ილიუზია კონფლიქტისა, უთანხმოებისა სათათბიროსა და მთავრობის შორის. მართლაც, მთავრობის კანონ-პროექტი თხოულობდა, რომ წინ-დაწინვე აღიარებული ყოფილიყო უფლება ქალაქის თვით-მმართველობის საქმეებში ჩარევისა; სათათბირომ კანონ-პროექტის ამ ნაწილს მხარი არ დაუჭირა. ამიტომ მთავრობას არ შეუძლიან დღესვე განახორციელოს თავისი სურვილი და პეტერბურგის თვითმმართველობა! დღესვე ჩამოართვას ქალაქის გაჯანსაღების საქმე. თუ საკითხს ამ თვალსაზრისით შევხედავთ სტოლიპინი დამარცხებულია, და ჩვენც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საკანონმდებლო დაწესებულებასა და მთავრობის შორის უთანხმოება, ჩამოვარდა. მაგრამ ეს უთანხმოება, არც ისეთი არსებითი და ხანგრძლივია, როგორც ეს პირველის შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს.

სტოლიპინს კიდევ ერთი საშუალება აქვს თავის მიზნის მისაღწევად—სახელმწიფო საბჭო. მთავრობა ისეთს კანონ-პროექტებს, რომელთა განხორციელებაც მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, ძალიან ადვილად მიაღებინებდა ხოლმე საბჭოს. თუ სტოლიპინს დავუჯერებთ, მას გულ-წრფელადა სურდა პეტერბურგის „ღარიბ ხალხს“ დაჰხმარებოდა. ლოღიკა მოითხოვს, რომ სახელმწიფო საბჭოში სტოლიპინმა დააჩქაროს ამ კანონ-პროექტის განხილვა; მაგრამ მოახერხებს ან მოისურვებს კი ისეთ კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარებას, რომელსაც თვითონ არ თანაუგრძნობს? ვეჭვობთ. ჩვენ ის უფრო გვგონია, რომ სახელმწიფო საბჭო მთავრობის კანონ-პროექტს გამოესარჩლება და ისევ სათათბიროს დაუბრუნებს, ან შესათანხმებელ კომისიას გადასცემს. მაშინ რანაირს მდგომარეობაში ჩავარდება სტოლიპინი, რომელიც საჯაროდ იცხადებდა, მე პეტერბურგის შეუძლებელ მცხოვრებთათვის ვზრუნავ და ამ კანონ-პროექტის განხორციელებასაც განსაკუთრებით მათის სარგებლობისთვის ვაჩქარებო? სხვა ქვეყნებში, სადაც ჭეშმარიტი პარლამენტარიზმი არსებობს, ასეთი მდგომარეობა სამინისტრო კრიზისს გამოიწვევდა. რუსეთში, რასაკვირველია, ე' არ მოხდება, მაგრამ მაინც ფრიად საინტერესოა, როგორ დააღწევს თავს სტოლიპინი ამ მოჯადოებულ წრეს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ერთის დროს ჩვეულებათ ჰქონდათ, რომ ცირკის არენაზე ადამია- [illegible] ბის გასაღიზიანებლად ჩვეულებრივად წითელ ფერსა ჰხმარობდნენ ხოლმე, წითელი ფერი საფრთხობელ საგნად იყო გადაქცეული. ახლანდელ დროშიაც არსებობს ბევრი ისეთი რამ, რაც ზოგიერთ ბეც ადამიანებზე სწორედ წითელი ფერის მსგავს ეფექტს ახდენს. „შოვინიზმი“ და „ნაციონალიზმი“, მაგალითად, სწორედ ასეთ საფრთხობელა ცნებებად გადაქცეული. ბ-ნი ნიგოიცკი, რომელიც კაკკაპივით ერთი გაზეთიდან მეორეში ხტუნაობს, იმის და მიხედვით, თუ საიდან უფრო სასარგებლო ქარი უბერავს, სცდილობს „შოვინიზმი“ და „ნაციონალიზმი“ ასეთს საფრთხობელა ცნობებად გადააქციოს, მაგრამ, ბოდიშს მოვიხდი მკითხველთან სიმკაცრისთვის, იგი მარტო მხეცებზე თუ მოახდენს სათანადო შთაბეჭდილებას.

ბ-ნი ნიგოიცკი გვიხსნის თუ რად დაანება „ნოვაია რეჩ“-ის რედაქციას თავი. მისი განმარტებითა სჩანს, რომ „ნოვაია რეჩ“-ში შოვინისტები და ნაციონალისტები სხედან, ეს კი მის ინტერნაციონალურად გაწვრთნილ ბუნების წინააღმდეგია.

„უპირველეს ყოვლისა ჩემს თავს ნებას მივცემ და აღვნიშნავ ამ ახლად მოვლენილ „სამშობლოს მხსნელთა“ დამახასიათებელ თვისებას,—სწერს ნიგოიცკი „ინტერნაციონალურ“ „ტფილ. ლისტოკში“,—საკმარისია ვინმე ქართველთაგანმა შეგნებულად მოეკიდოს ეროვნულ საკითხს,—რომ მათ ბუკი და ნაღარა დასცენ და იგი „სამშობლოს მოღალატედ“ გამოაცხადონ“.

საწყალი ნიგოიცკი, დამცველი ინტერნაციონალურ პრინციპებისა! ქართველმა „შოვინისტებმა“ მისი კეთილი განზრახვანი ვერ დაინახეს! მაგრამ ერთი ვკითხოთ თვით ბ-ნ ნიგოიცკის, რა ინტერნაციონალისტობაა“ შოვინისტთა ერთი ჯგუფის დანებება და მეორე ჯგუფთან მიკედლება? თქვენ „ნაციონალისტურ“ „ნოვაია რეჩ“-ს დაანებეთ თავი და ულტრა-ნაციონალისტურ ხაჩატუროვის „ტიფლ. ლისტ.“-ში ამოჰყავით თავი. ინტერნაციონალისტობაც ასეთი უნდა! თქვენ [illegible] ინტერნაციონალიზმა უძახით, ჩვენ კი იგი პირწავარდნილ უპრინციპობათა და რწმენის ღალატად მიგვაჩნია. სამშობლოს ღალატი აქ არაფერს შუაშია. სამშობლო რაკ მალე დაჰკარგავს თქვენისთანა შვილებს, იმდენად უკეთესია. მხოლოდ ამისთანა წერილებით რომ თქვენს ლიტერატურულ ფიზიონომიას ცხადი უპრინციპობის დაღი ემჩნევა, ეს ყველასათვის ეჭვს გარეშეა. განაგრძეთ ხაჩატუროვისა და ძმათა მათთა გულის მოსაგებად წერა, ხოლო თქვენს დაბალ ხარისხის მოქმედებას კეთილ შობილურს სამოსელში ნუ ახვევთ... სულ ერთია, ამით მხოლოდ ბავშვებს მოატყუებთ.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ დი გოლიცინსკი თავმჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა სიას აცხადებენ.

მორიგ საკითხად სასკოლო ადგილთა აღნუსხვა და პირველ დაწყებით სწავლისათვის ნავარაუდევ სესხის განაწილებაა. ამ პროექტის 1, 2, 3, 4, 6 მუხლებს ღებულობენ: სასკოლო ადგილთა აღნუსხვა და ფინანსიური გეგმა სამოსწავლო საბჭოს დასკვნითა და ყოველს მასალის დასამტკიცებლად განათლების მინისტრს წარუდგინება.

ბუდატ შესწორება შეაქვს: იმ ადგილებში, სადაც საგუბერნიო და სამაზრო ერობათა დაწესებულებანი არა არსებობს სახალხო სკოლათა დირექტორი განზრახულ სასკოლო ადგილთა ნუსხას ყველა საზოგადოებათა ვოლოსტთა და სოფელთ წინდაწინვე აცნობებს, რათა მას თავის აზრიც წარუდგინონ, სად უფრო სასურველი და უმჯობესია სკოლის დაარსება.

ეს შესწორებაც მიიღეს.

მე-7 მუხლი განსაზღვრავს, თუ განათლების სამინისტრომ ერობათა და ქალაქის თვითმმართველობათა სკოლებს საერთოდ დახმარება რაოდენის თანხით უნდა გაუწიოს.

ამ მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ, კადეტთა შევსებით: სასკოლო ადგილთა სიის დამტკიცებამდე იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არაა შემოღებული, სკოლებს 1900 წლის უმაღლესად მოწონებულ აზრის თანახმად უნდა ეხმარებოდნენ.

დანარჩენ მუხლებს უკამათოდ ღებულობენ.

საყოველთაო სწავლის კანონპროექტის განხილვა დასრულდა.

ძუბინსკი სურვილს აცხადებს, რათა არა-რუსთა სკოლების შესანახად მთავრობამ ზედმეტი თანხა გადასდოს, კერძოდ რუს-ყირგიზთა სკოლებისთვის, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, ხოლო შესაფერ წესდების შემუშავების დროს ადგილობრივ სამოსწავლო საბჭოს აზრიც უნდა მიიღონ მხედველობაში.

ამ შესწორებას ღებულობენ.

მორიგ საკითხად ლოთობასთან საბრძოლველი კანონ-პროექტია.

ბარონი ჩერკასოვი (ფინანსიურ კომისიის მომხსენებელი) ამბობს, რომ რუსეთში უფრო ნაკლებ მაგარ სასმელებსა ჰხმარობენ, ვიდრე სხვა სახელმწიფოებშიო. ლოთობასთან გამკლავება მხოლოდ საზოგადოების

ფართო წრეების დამყარებით შეიძლება.

ორატორის აზრით არყის მონოპოლიის შემოღება უსათუოდ ხელს შეუწყობს ლოთობის შემცირებას. შემცდარია ის აზრი, ვითომც ამ ბოლო ხანებში ლოთობა რაიმე საშიშ მოვლენად გადაქცეულიყოს.

ზახარევი, სასამართლო რეფორმათა კომისიის მომხსენებელი. რუსეთში ლოთობა ჯერ რაიმე ნიშანდობლივ სენად არ გადაქცეულა. ფინანსიურ კომისიის აზრით, რაც შეიძლება უნდა გააძნელონ ღვინოთა და არყით ვაჭრობა, სამოსამართლო კომისიის აზრით კი ლოთობასთან საბრძოლველად ხალხის ცხოვრების კულტურულ და ეკონომიური გაუმჯობესებაა.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი **ნოვიცკი**. ლოთობა რომ დიდი ბოროტებაა, ცხადია. მთავრობაცა და საზოგადოებაც ყოველ გონივრულ საშუალებით უნდა იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. მაგრამ მართალი არ იყო ჩელიშევი მთავრობას რომ უკიჟინა, გამორჩენის გულისთვის მაგარ სასმელებით ხალხის წამლვას თვალს არიდებსო. მინისტრი იმოწმებს გერმანიისა, საფრანგეთისა, ამერიკისა და თვით რუსეთის ცნობილ პირთ, რომ ღვინისა თუ არყის ზომიერი სმა, არამც თუ მავნებელი არაა, ზოგჯერ მარგებელიცააო. მთავრობა ცდილობს,—და საკანონმდებლო დაწესებულებასაცა სთხოვს დაეხმაროს მაგარ სასმელების ზომიერ ხმარებაში. მინისტრს იმედი აქვს გონივრულის ზომებით მიზანს მიაღწევენ. მას იმედი აქვს, რომ სათათბირო ლოთობის მოსასპობად ბრძოლაში მთავრობას დაეხმარება. ლოთობის მოსასპობად, მინისტრის აზრით, ამ საქმიდან სასულიერო წოდების გაძევება კი არაა საჭირო, არამედ სულიერ მოძღვართა ჩარევა (მარჯვნივ ტაშის ცემა, მარცხნივ სტვენა).

[illegible] თომც მაგარ სასმელების გაყიდვა რომ შემცირდეს, ხაზინას შემოსავალი დააკლდებაო. რაც ნაკლებს დაჰლევს ხალხი, მით უფრო ეკონომიურად წელში გაიმართება და სხვა გზით მისცემს იგი ხაზინას შემოსავალს. ორატორის აზრით უმთავრესი საქმე სირაჯებთან ბრძოლაა.

სხდომა დროებით სწყდება.

კრების განახლებისას, ღებულობენ კანონ-პროექტს, რომ ომში დაღუპულ ყაზახთა ოჯახობასა და მემკვიდრეთ შემწეობა ეძლეოდეთ.

[illegible] შესწორება შეაქვს: იმ ყაზახთ, რომელთაც ომიანობისა თუ მობილიზაციის დროს მამული ხელიდან წაუვიდათ მისი ნამდვილ ღირებულების სამი მეოთხედი მიეცეთ.

შესწორებას ღებულობენ.

ჟუკოვსკი ალაფთა კრების წესდების დამტკიცებაზე მოხსენებას აკეთებს. ეს პროექტი შარშან სათათბიროში განიხილა და უარჰყო. სამინისტრომ წელს თითქმის შეუცვლელად ხელმეორედ შეიტანა იგი სათათბიროში. კომისია პროექტის მიღებას თხოულობს.

ორატორთა უმეტესობას აფიქრებს ის გარემოება, რომ პროექტი შეძლებულ ალაფთა ინტერესებს იცავს, წვრილ-ფეხობას კი ავნებს და ალაფთა სინდიკატის შექმნას გამოიწვევს.

132 ხმით 40 წინააღმდეგ ეს კანონ-პროექტი უარჰყვეს.

სათათბირომ სწრაფ-განსახილველად არ ჩასთვალა შეკითხვა ოსტროვსკის ოლქიდან გამოძევებაზე.

უმაღლეს სასწავლებელთა მდგომარეობის თაობაზე შეტანილ შეკითხვის განხილვის ვადა კანონიერ რიცხვთა დაუსწრებლობისა გამო ვერ გადასწყვიტეს.

საღამოს სხდომაზე კაპუსტინი თავმჯდომარეობს. ბალტიის მხარეში სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის მიერ ჩადენილ უკანონობათა მთავრობის განმარტებას არჩევენ.

შულცენბერგს აუარებელი საბუთები მოჰყავს თუ ბალტიის მხარეში რა ჩაგვრას განიცდის გლეხ-კაცობა.

თავმჯდომარე. სთხოვს საბუთებს კითხვას თავი დაანებოს და სიტყვიერად ილაპარაკოს.

შულცენბერგი თუ საბუთების წაკითხვაც იკრძალება, სიტყვასა ვს[illegible] (მარცხნივ ტაშის [illegible]).

წინადადება შეაქვთ ამ საგანზე კამათი მთლიად მოხსნან.

ბრედკინი. ბალტიის მხარეში ბარონები განაგებენ უუფლებო და უმწეო გლეხ-კაცობას. სანამ ძირითადი რეფორმები არ მოხდება ლატიშელი გლეხობა და ბალტიის მხრის მთელი მოსახლეობაც, სოც.-დემოკრატებთან ერთად, თავგამოდებით იბრძოლებს ბარონების თავკასულობის და მათის უპირატესობათა წინააღმდეგ.

ბულატი შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს: მთავრობის განმარტებანი საკმაო დასაბუთებულად არ მიგვაჩნია და დამსჯელ რაზმის მოქმედებას სრულიადაც ვერ ამართლებს.

ხმის უმეტესობით ოქტომბრისტების ფორმულას ღებულობენ: „მხედველობაში ვიქონიეთ, რომ განმსაჩივრებელთა ერთი ჯგუფის ბრალდებანი ვერ დამტკიცდა, ხოლო მეორე რიგი არავითარს უკანონობას არ წარმოადგენს და ამიტომ სათათბირო მორიგ საქმეთა განხილვას იწყებს.

შემდეგი სხდომა 28 იანვარს მოჰხდება.

ბუტურლინის საქმე

თავმჯდომარე, ექსპერტთა მოთხოვნილებით, ლასსის სთხოვს რამდენიმე ბწკარი კარნახით საწერ მანქანაზე დაბეჭდოს.

ლასსი მხოლოდ ორიოდე ბწკარსა სწერს და იმავე შეცდომას ჩაიდენს, როგორიც ბარათშია.

ექსპერტი შენდელევი გადაჭრით აცხადებს: ბარათი ლასსის მანქანაზეა დაბეჭდილი.

ექსპერტი ბოზოვიცკი: არ შეიძლება ითქვას, ბარათი ლასსის მანქანაზეა დაბეჭდილიო.

დამცველი ექსპერტები ლასსის სასარგებლოდ გამოსთქვამენ აზრს.

საღამოს სხდომაზე მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას განაგრძობენ.

მოწმე, ვიდელი ექიმი, ერნსტი: სააღდგომოდ (1910 წლ.) განსვენებულმა თავი გამაშინჯა და ნევრასტენიკად აღმოვაჩინე, შეშფოთება არ მირჩევია".

მოწმე კარბოვიცკი განსვენებულის თანამოსამსახურე: „დელასსიმ პირველ გაცნობისათანავე ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბუტურლინი სიძეს (ლასსის) უნდობლად უყურებდა".

მოწმე კუზნეცკი, ნაფიცრალი, [illegible] გემთა სამშენებლო ქარხანა გახსნა. ბუტურლინის მამის სიკვდილი უფრო სარფა იყო, ვიდრე შვილისაო.

ბრანდმეიერის გამოკითხვამ დაამტკიცა, რომ კლეპალსკი ლასსის ნალაპარაკევზე ემყარებოდა.

მოწმე მიხაილოვისა და ფედოროვის ჩვენებით მტკიცდება, რომ პანჩენკო და დელასსი 1909 წლ. ერთმანეთს იცნობდნენ.

სხდომის დასასრული. პანჩენკოს ლასსისადმი ვილნაში გაგზავნილი დეპეშებიდან სჩანს, რომ პანჩენკოს ლასსისათვის არა ერთხელ უთხოვნია ფული.

24 იანვრის სხდომაზე იმ მოწმეთა ჩვენებები წაიკითხეს, რომელნიც ვერ გამოცხადნენ და რომლიდანაც სჩანს, რომ ლასსის „გეორგიევის სასტუმრო"-ში ოთახი მუდმივ ჰქონდა დაქირავებული. ფულის მხრივ დიდს გაჭირვებას განიცდიდა და ქირას დროზე ვერ იხდიდა. ბუტურლინის ასული იმ ანგარიშით შეურთავს, რომ საქმე გამოეკეთებინა. პანჩენკო ლასსის ხშირი სტუმარი ყოფილა. და სასტუმროს მოსამსახურეებს ექიმ-პროფესსორად აცნობდა თავს, ვილნოს გაზეთშიაც განცხადებებსა ჰბეჭდავდა, ავადმყოფთ კი გულმოდგინედ არა ჰსინჯავდა, რადგანაც ლასსისთან ჩურჩული უფრო ამჯობინებდა. ოთახის ქირას არც ეს იხდიდა.

პანჩენკო ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინის გზაზე ვიტტეს რეკომენდაციით მიიღეს და ძლიერ იშვიათად დადიოდა სამსახურშიო. თანამოსამსახურე ექიმების საყვედურზე თავს იმით მართლულობდა, რომ თირკმლების ავადმყოფობა მაწუხებსო. როდესაც შესამოწმებლად შარდი მოსთხოვეს, პანჩენკომ სხვა ავადმყოფის შარდი წარუდგინა; ეს სიყალბე შეუტყვეს. რკინის გზის საავადმყოფოში დაწოლაზე უარი განაცხადა და სთხოვა ვისაც ჯერ არს, რომ მისი გვარით სხვა ავადმყოფი დაეწვინათ.

პანჩენკომ თანამოსამსახურე ექიმების ჩვენებაზე განაცხადა, საიდან შემეძლო სხვისი შარდის შოვნაო.

მოწმე სევასტიანოვმა პანჩენკოზე და ქალბატონ მურავიოვის შესახებ ცუდი ჩვენება მისცა.

ნაფიცი დამცველი **ადამოვი** პანჩენკოს შეეკითხა: ცოლ-ქმურად ხომ არა სცხოვრობდითო.

პანჩენკომ განაცხადა: ქ-ნ მურავიოვთან კი არა, მაგრამ მოწმე სევასტიანოვის ცოლთან კი ვცხოვრობდიო. მის ოჯახსაც ვარჩენდიო.

ქ-ნი მურავიოვი [illegible] აცხადებს: ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად ვეპყრობოდით. ჩემმა მეუღლემ მის მკლავზე დალია სულიო.

სასამართლო ცნობებით პანჩენკო ომში ექიმად ყოფილა, ხოლო ქ-ნი მურავიოვისა კი—მოწყალე და. სამსახურის დროს პანჩენკოს 360 მან. გაუფლანგავს და მიმალულა.

რამგოფის ჩვენების ჩამორთმევამდე პანჩენკო აცხადებს, რამგოფს, როგორც მატყუარას, ნურასფერს დაუჯერებთო.

რამგოფი: პანჩენკოს წამლობის დროს ქალზედ შიშკინა შემოაკვდა და ამ შემთხვევამ აიძულა მოსკოვიდან გაპარულიყო: პელი, სპერმინის გამომგონი, ძლიერ უდიერად სარგებლობდა პანჩენკოს ნივთიერ ხელ-ვიწროებით, მაგალითად პარიზში რეკლამებისათვის გაჰგზავნა და სულ 200 მან. მისცა ამ სიტყვებით: „კაი ძაღლი საკვებს ყველგან იშოვისო". ომიანობის დროს პანჩენკო რომ სამსახურიდან დაითხოვეს, ხარბინში დასახმარებლად 200 მან. გაუგზავნეო. ჩამობრუნებისას პანჩენკო მეტად დარდიანად იყო ქ-ნ ქმურავიოვის დაშორებაზე და 100 მან. კიდევ მივეციო, რომ ქ-ნი მურავიოვი პეტერბურგში ჩამოსულიყო. პანჩენკო მრავალ სნეულებითაა შეპყრობილი, მაგრამ უმთავრესად კი—სულიერის მახოზმით: რაც უფრო მეტად სტანჯავდა მას ქალი, მით....

თავმჯდომარე შეაჩერებს მოწმეს: დაწვრილებითი ჩვენება ხალხის დაუსწრებლად ჩამოგერთმევათო.

რამგოფი განაგრძობს: 10—15 მანეთი რომ ეშოვა სადმე, 5000 მან. თამასუქზე ხელს მოაწერდა, ამიტომ, არც გასაკვირველია მისი ვალებში ჩავარდნა. 100 მან. გულისათვის თავს სასიკვდილოდ გაიმეტებდა. იმის დასამტკიცებლად, რომ ლასსის წინააღმდეგ შანტაჟისტებმა გაილაშქრეს. დასამტკიცებლად შემიძლიან ის მოვიყვანო, რომ ბუტურლინის გარდაცვალებისას ჩემთან დრეიდენი მოვიდა და მითხრა: „ახლა კი ლასსის შეიძლება კაცმა დიდი ფული გამოსტყუოსო" მე ვუპასუხე: მე ამგვარ საქმეებში არ ვერევი მეთქი. წელიწად ნახევარი ბანკირ ჟდანოვის ბარათს დრეიდენი მთელს ქალაქში დაატარებდა. ამ ბარათით ბანკირი პანჩენკოს თავის ნათესავის მოსაკლავად საწამლავს სთხოვდა. დრეიდენმა პოლიციას მიჰმართა, მაგრამ ამითაც არაფერი გაჰხდა. მაშინ ბარათი გოლინსკის გადასცა. გოლინსკი ჟდანოვს ეახლა, მაგრამ ბანკირმა იგი გააძევა და დრეიდენს 15 მანათი მისცა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საზღვარ-გარედ.

27 იანვარი.

პარიზი. ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებაზე ასკვიტის მიერ ნათქვამ სიტყვას, გაზეთები კმაყოფილებით მიეგებნენ.

კრაკოვი. უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, ლექციების კითხვას ზამთრის სემესტრში განვაახლებთო. უნივერსიტეტი 28 თებერვლამდე დახურულია.

სოფია. ოსმალეთ-ბულგარეთის საბაჟო კომისიის რწმუნებულნი პრინციპიალურად მრავალ საკითხებში შეთანხმდნენ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატში დეპუტატი ლლოიდი სპარსეთის საქმეებზე მთავრობას შეეკითხა. მაკინნონვუდმა უპასუხა, განზრახული შეთანხმება რუსეთ-გერმანიის შორის, მხოლოდ სპარსეთის რკინის გზის გაყვანას ეხებაო და ინგლისის ინტერესებს სამხრეთ სპარსეთში არაფერს ავნებსო. სრულებით ინგლისისათვის დამცირება არ არის, თუ ჩვენ თვით სპარსეთს ვაკისრებთ სამხრეთ სპარსეთში სავაჭრო გზების დარაჯობას მით უფრო, რომ თვით ინგლის-რუსეთის შეთანხმება—სპარსეთის ხელ-შეუხლებლობას მოითხოვს.

ვენა. სლავიანთა კლერიკალების ბელადმა შუსტერშიჩმა ჩეხების საკრებულოში უარი განაცხადა ეთქვა, თუ როგორ მოიქცევა სლავიანთა კლუბი იტალიანურ ფაკულტეტის გახსნის საკითხში. ჩეხებს განძრახვა აქვთ შუსტერშიჩთან დამოკიდებულობა შესწყვიტონ. გერმანული პრესა სლავიანთა კავშირის დარღვევის გამო სიხარულს ეძლევა.

ელპასსო (ტეხასი). მეამბოხეთ ქალაქ ხუარესს ალყა შემოაკრეს. ქალაქის საშველად გაგზავნილი მთავრობის ჯარი დაამარცხეს.

თავრიზი. სალმასის მცხოვრებნი ოსმალოთაგან შევიწროებას სჩივიან. ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორი ძმის მოკვლამ ისე დააშინა, რომ რევოლიუციონერთა მეთაური, ხიშმეტი განთავისუფლა.

ლონდონი. პოლიციის შეიარაღებულმა რაზმმა ქალაქის აღმოსავლეთის უბნის ზოგიერთ ქუჩებს მოულოდნივ ალყა შემოარტყა. ერთი რუსი და ერთი ქალი დაატუსაღეს, რომელთაც პოლიცია რუნსდიჩში მკვლელობის თაობაზე დაეძებდა.

სტამბოლი. ცეცხლისაგან მხოლოდ ახალ კანონების გეგმები და მიმდინარე საქმეების საბუთები მოისპო. დამწვარ შენობას 4 თვის განმავლობაში განაახლებენ.

ლონდონი. ლორდთა პალატა. მორლეიმ, ლემინგტონის საპასუხოდ, განაცხადა: რუსეთის და გერმანიის

ქართული თეატრის განაზღვება

„ხიმახინჯი", დრამა 4 მოქმედებად გ. მუკაშვილისა, ქუთაისის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი.

ჩვენის თეატრის ბედ იღბალი ღრმა ფიქრებს მოგვრის ყველას, ვისაც კი ქართველობა სამარცხვინო მემკვიდრეობად არ მიაჩნია და რომლისათვისაც ქართველის ერის კულტურული ზრდა და განვითარება ცხოვრების საგნად გამხდარა.

ერთ დროს ჩვენი თეატრი მართლა სამწუხარო სანახაობას წარმოადგენდა. არა იმიტომ, რომ ქონებრივად დასუსტებული იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი სასცენო ხელოვნება ესტეტიურის მხრით მძიმე კრიზისს განიცდიდა, ვინაიდან დაკნინებისა და დაქვეითების გზას ადგა.

ძველი ჩვენი სახელოვანი არტისტები, თუ გნებავთ, მოიქანცნენ, მოიღალნენ წელში გამწყვეტის უმადურის შრომის გამო. ბუნების კანონს ვერც მათ აუხვიეს გვერდი და ყოვლის მომშხამველ სიბერეს ვერ გაექცნენ.

ჩვენის ცხოვრების მოუწყობლობისა და უბადრუკობის გამო, მათი სიბერე მეტად აჩქარებული შეიქნა და 40—50 წლის არტისტები თუ სხვა ქვეყნებში ახალგაზრდებად არიან მიჩნეული და სწორედ ამ ხანაში იხვეჭენ სახელს, ჩვენში ისეთ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რომ იძულებული შეიქნენ სცენისათვის თავი გაენებებიათ. ხოლო, იმას ვერ დავივიწყებთ, რომ ჩვენის არტისტებისთანა თავ-განწირული მუშაკი ჩვენ თითქმის არ მოგვეძებნება. ეჭვი არ არის, ისეთის დიდის ნიჭის პატრონი კაცები, როგორც ბ. ვასო აბაშიძე და ვლ. მესხიშვილი, ყოველთვის მოახერხებდნენ სადმე კანცელარიაში შეეყოთ თავი, „მოხელეთა" „ბედნიერ" კასტაში ჩარიცხულიყვნენ, მაგრამ ეგ ადამიანები სწორედ ხელოვნების მოწამენი არიან და მთელი თავისი პირადი ცხოვრება ხელოვნების საკურთხეველზედ მიიტანეს მსხვერპლად. საზოგადოების გულგრილობა, უმადურობა, სიმშილი და წყურვილი, დამცირება—აი მათი ჯილდო. და ყოველივე ამას იტანდნენ თავგანწირულებით, სანამდის ეს შესაძლო იყო.

თეატრი კი ორიოდე მუშაკით შორს ვერ წავა, მით უმეტეს ვამბობ, რომ დაუღალავნი მესვეურნი ბოლოს მოიქანცნენ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს თეატრში შესვლა სწორედ ძნელი იყო. ჩვენის თეატრის კრიზისმა, თუ გნებავთ, იმავე დროს იჩინა თავი, როდესაც ჩვენის საზოგადო ცხოვრების კრიზისი თვალწინ წამოგვეჭიმა. „ღალატის" 1904-ში წარმოდგენამ გვაცნო, რომ ქართული თეატრი დიდ საფრთხეშია და ეჭირვება არსებითი წამლობა. თეატრს აუხირდა არა მარტო ის ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომელსაც თავისი „კულტუროსნობა" იმით უნდა დაამტკიცოს, რომ ყოველივე ქართულზედ ცხვირს ზევით ასწევს. ქართული თეატრი სასტიკ კრიტიკას იწვევდა იმ წრეებშიაც, რომელნიც ქართულის კულტურულის დაწესებულების ბედ-იღბალს გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ მოსიყვარულე გულის საბუთიანმა და სასტიკმა მსჯავრმა გამოაღვიძა საზოგადოება, თეატრის ქურუმნიც და დღეს ჩვენც ვხედავთ, რომ ჩვენი სასცენო ხელოვნება სრულიად სხვა გზას ადგება, იმ გზას, რომელიც უეჭველი მომასწავებელია მისი განახლებისა.

1

დღევანდელი ჩვენი თეატრი, ჩვენი სასცენო ხელოვნება მისდევს, ეგრედ წოდებულს მხატვრულის თეატრის მიმართულებას. დღევანდელი ჩვენი სასცენო ხელოვნება, ჩვენი რეჟისორები —ეს უმთავრესნი მიმკემნი წარმოდგენის ტონისა, კილოსა—სულ ახალ გზას ადგიან თეატრის საქმეებში. იგინი სცდილობენ მთელი პიესა, თავიდან ბოლომდე მხატვრულად, მწყობრად იყოს აღსრულებული; დაცული იყოს და გატარებული მთელ წარმოდგენაში სტილი და მანერა, კილო, იერი ნაწარმებისა. მათთვის არ არსებობს მეორე დრამატიული თხზულება და მისი ავტორი. ჩვენი სცენა დღეს იმასა სცდილობს ავტორის ნაწარმოები შეიგნოს, თავისებურად ახსნას და განმარტოს ავტორის შემოქმედება, თვალწინ გადაგვიხსნას და გადაგვიშალოს ავტორის აზრი ნაწარმოებში ჩამოსხმული. ასევე იქცევა ყოველი კრიტიკოსი. ისიც თავისებურად აგვიხსნის და განგვიმარტავს ამა, თუ იმ ნაწარმოებს. ასევე არ იქცევა თვით ხელოვანი: ისიც ერთგვარად, თავისებურად ნათელ ჰყოფს მოვლენათა დაფარულს კავშირს, „ქვეყანას უთვალავის ფერით" შემკულს, სამყაროს დაუსრულებელს, ერთგვარის თვალთა ხედვის ისრით გაზომავს და ერთგვარ თავისებურ მხატვრულ კომენტარიებს გვაძლევს მსოფლიოს ცხოვრებისას. ამგვარადვე რეჟისორი და მსახიობი (დღევანდელი) ავტორის მთელ ნაწარმოებს განგვიმარტავს. ამ განმარტების მასალად ავტორის შემოქმედება აქვს მთლად ერთიანად. ყოველივე წერილი, ყოველივე რქა ნაწარმოებისა იპყრობს რეჟისორის, არტისტის ყურადღებას და ამნაირად, რაგვარიც არ უნდა იყვეს მისი შეხედულება დრამატიულ ნაწარმოების შესახებ, იგი მთლად ერთიანად მთელს ნაწარმოებს შეისწავლის და ეცდება სავსებით შეიგნოს იგი. კარგად იცის, რომ მწერალის, ავტორის აზრი ყოველ სტრიქონში, ყოველ ანბანში გამოსჭვრივის და ამისათვის, თუ რომელიმე მხარე ნაწარმოებისა, რომელიმე ადგილი უყურადღებოდ დასტოვა, ან ნაკლების ყურადღებით მოეპყრო, დააკოჰლებს, დაამახინჯებს მთელს ნაწარმოებს. ამიტომაც არის, რომ ასე სავსებით შეთვისებულის პიესის წარმოდგენა, სწორედ რომ მხატვრულია, ხელოვნური, ხელოვნების იდეალის განმახორციელებელი აქ მთელი დასი მსახიობთა ერთსულ და ერთგულ, ერთგვარად ხელს უწყობენ პიესის მწყობრად ჩატარებას. აქ არ არის, არც თავადი, არც აზნაური, აქ ყველანი თანასწორნი მოქალაქენი არიან, იმ სახელმწიფოსი, რომელსაც სცენა ეწოდება. აქ არ არის არც ელლინი, არც ურიასტანელი, აქ არის სამეუფო ხელოვნებისა. სცენაზედაც შეიჭრა დემოკრატიული სული და თავისი მკაცრი მოთხოვნილებანი გაიბატონა. ამით ხელოვნებამ ბევრი მოიგო და უმაღლეს საფეხურზედაც კი ავიდა. სიმფონიურ კონცერტში ყველა დამკვრელი ხელს უწყობს მუსიკალურის პიესის სავსებით გამოხატვას, აქ ყველას თავისი საპატიო ადგილი უჭირავს და საკმაოა ერთმა ერთი უსწორო ხანგი აიღოს, რომ მთელი მუსიკალური ნაწარმოები დაიღუპოს მსმენელთათვის. არტისტთა დასიც ამგვარის აზრით გამსჭვალული უნდა იყოს და იცოდეს, რომ თვით უბრალო სტატისტიც კი დაარღვევს ტრაგედიის სიმფონიას, თუ მას შეგნებული არა აქვს თავისი მნიშვნელობა სცენაზედ.

უწინ მთელი პიესა მარტო ერთის მომქმედის პირისათვის იყო ხოლმე წარმოდგენილი. „ჰამლეტში" მარტო ჰამლეტის მოთამაშე მსახიობს უნდა შეესრულებინა ხელოვნურად როლი, დანარჩენები კი თუ გინდ უბრალო სტატისტები ყოფილიყვნენ, არავინ ყურადღებას არ აქცევდა, სცენაზე მარტო ერთი მზე ანათებდა, რასაკვირველია, ვარსკვლავები, რომც ყოფილიყვნენ მზის შუქში ვერ გამოჩნდებოდნენ, მაგრამ ყოველივე ისე იყო მოწყობილი, რომ მზის გარეშემო სრული სიბნელე და არარაობა იყო. ამგვარად უწინდელი სასცენო ხელოვნების პრინციპების აღმსარებელნი ნაწარმოების ერთ ნაკვეთს გაგვინათებდნენ ხოლმე სოლცარის თვალსმომჭრელის ელექტრონის სინათლით, დანარჩენი კი დაჩრდილული და დაბნელებული იყო, და იმდენად უფრო ბნელით იყო მოცული, რამდენადაც უფრო ძლიერი იყო ის ცეცხლი, რომელიც ნაწარმოების ერთ ყურეს წამკიდებოდა.

წარმოიდგინეთ ამ მიმართულებამ სასცენო ხელოვნებაში მრავალი ნაწარმოები დაბადა, ამავე ტენდენციით გაჟღენთილი ცნობილი ფრანგი დრამატურგი სარდუ სახელოვან არტისტ—ქალის სარა—ბერნარისათვის სწერდა დრამებს („ტოსკა" „თეოდორა" და სხვ.) ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ხელოვნება და ტეხნიკას იმას ანდომებდა ერთი მომქმედი პირი მკაფიოდ დაეხატა, რათა საშუალება მიეცა სარას ნიჭისათვის ფრთა გაეშალა, დანარჩენები კი არარაობაზედ უარეს არარაობას წარმოადგენდნენ. ჩვენშიაც ვიცით ისეთი მაგალითი: ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა" ჩვენის სცენის დამამშვენებელის, განსვენებულის ნატო—გაბუნია ცაგარელისა ვის იყო დაწერილი და მართლაც ერთად

შორის მოლაპარაკება ოსმალეთში და სპარსეთში რკინის გზის გაყვანის თაობაზე ჯერ კიდევ გრძელდება. მე არ ძალმიძს ამ მოლაპარაკების შინაარსი გაუწყოთ, რადგანაც ამ ორ სახელმწიფოს საიდუმლოებას შეადგენსო; ბრიტანიის ინტერესებზედაო ჯერ-ჯერობით არაფერი ითქმის. შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს ინტერესებს, თვით უმნიშვნელოსაც კი, მედგრად დავიცავთ. ჩვენს აზრს რუსეთის მთავრობას სავსებით ვაუწყებთ.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დელეგაციის სამხედრო კომისია. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, ზოგიერთა პოლკში მეომართა რიცხვს მოუმატებთო. ჯარის განახლებაზე სთქვა: 200 მილიონზე ნაკლების გადადება ყოვლად შეუძლებელიაო. მინისტრთა თავმჯდომარემ განაცხადა, უნგრეთის მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვს ორ წლიან სამხედრო ბეგრის შემოღებასაო.

ჩ ი ნ ი

კუანჩენძი. ჩინეთის მთავრობის ნებართვით დაბა სტარი-ბაზარის მცხოვრები ჩინელები აჰყარეს. ჩინეთის ადგილობრივმა მთავრობამ ახალი ჯარის მოშველება ითხოვა, რადგანაც ხუნხუზების ბრბო ქალაქის მიდამოებში დათარეშობს და ადგილობრივ ჯარში კი ჟამი მძვინვარებსო.

ხარბინი. დღე-ღამეში 23 ჩინელი და სამი ევროპიელი—სანიტარი გარდაიცვალა.

ადესა. ჟამთან ადგილობრივ მებრძოლ კომისიის სხდომაზე მიხსენებულ იქნა, რომ უმაღლესად დაარსებულმა ჟამთან მებრძოლ კომისიამ 1 მილიონ მანეთის გაცემაზე შუამდგომლობა უარჰყო, რადგანაც ქალაქის გაჯანსაღება ქალაქის თვითმმართველობის ხარჯით უნდა ჰხდებოდეს ქალაქის სახსარითაო.

რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვარშავის რომის კათოლიკეთა ეპარქიის ქორ-ეპისკოპოსს მოსთხოვა მღვდელ აბრამოვიჩის სამსახურიდან დათხოვა, რადგანაც მღვდელ მოსციცკის დასაფლავების დროს პოლონურ ნაციონალურ-სეპერატიული შინაარსის სიტყვა სთქვაო.

მოსკოვი. მოსკოვში მოსახლე სერბთა სათვისტომომ ტროიცკის ლავრაში აკსაკოვის საფლავზე პანაშვიდი გადაიხადა და გვირგვინით შეამკო.

სევასტოპოლი. ქარიშხალმა ზღვაში მებადურთა ნავი გაიტაცა, 8 კაცი დაიხრჩო.

ხოლმი. ღამე, 25 იანვარს, ბოროტ-გამზრახველებმა ბრაუნინგით მცველი მოჰკლეს.

პეტერბურგი. მეხაბთა კრებამ ლებედევის მოხსენება მდ. ობის და მდ. ვოლგის ირტიშთან და ჩუსოვთან არხით შეერთება მოიწონა.

სატუსაღოს ზედამხედველთათვის სკოლის დაარსების კანონ პროექტი შეიმუშავეს; მამაკაცთათვის პეტერბურგში, დედაკაცთათვის —მოსკოვში.

პეტერბურგი. ხე-ტყის მრეწველთა კრებამ დაადგინა, ბანკის კუთვნილი ტყეებიც საერთო ტყის დაცვის კანონს ემორჩილებოდნენო და სურვილი გამოსთქვა ამ გვარი ტყეები სახაზინო ტყის უწყებას გადაეცეს.

პეტერბურგი. გაზეთ „რუსკოე ზნამია“-ში 25 იანვარს ეწერა, კომიტეტში, რომელსაც დავალებული ჰქონდა იაპონიის ომში დასახიჩრებულ მხედრებისათვის ადგილი ეშოვნათ, ბოროტ მოქმედება აღმოაჩინეს, რასაც შედეგად კომიტეტის გაუქმება მოჰყვაო. ცნობათა შემკრები ბიურო აცხადებს, რომ ეს ამბავი გაზეთის მიერ ძლიერ დამახინჯებულია, საქმე ასე იყო: კომიტეტის კანცელარიის მწერალმა, პეტროვმა, რკინის გზაზე უფასო მგზავრებისათვის რამდენიმე ყალბი მოწმობა გასცა. რის გამო პეტროვი პასუხის-გებაში მისცეს. კომიტეტის გაუქმების განკარგულება 27 ნოემბერს 1908 წ. მოჰხდა, და, რასაკვირველია, ამ საქმეს არ გამოუწვევია.

ახალი ამბები

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ დღეს კრება ექმნება სახალხო სახლთან არსებულ სექციების გაერთიანებულ კომიტეტს, რომელიც **19 თებერვლის** დღესასწაულის პროგრამას შეიმუშავებს.

✦ გუშინ **ჭლექთან მებრძოლმა საზოგადოებამ** ტფ. ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა იმ ხელშეკრულობის პროექტი, რომლის ძალითაც ქალაქმა აბასთუმანის სანატორიაში თავისი საწოლები უნდა მოაწყოს და საზოგადოების სასარგებლოდ შესაფერი ხარჯი გადაიხადოს. საზოგადოება სთხოვს გამგეობას, პროექტი გადაათვალიეროს, ხელი მოაწეროს და სანატორიის საჭიროებისათვის ამ თავით 5.000 მანეთი გადაიხადოს.

✦ ამ დღეებში ტფილისში გარდაიცვალა სომხეთა ცნობილი მწერალი სიმონიანცი. სომხის მწერალთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა **ფონდი** დაარსოს განსვენებულის სახელობაზე. ტფ. სომხის სამღვდელოებამ ამ საქმისათვის უკვე 100 მან. გადასდო.

✦ უკვე გაანთავისუფლეს ციხიდან 20.000 მანეთის თავდებით სომხის ცნობილი **მწერალი აგარონიანი**, რომელიც ორს წელიწადი იყო დაპატიმრებული „დაშნაკცუთუნ“-ის საქმის გამო.

✦ 31 იანვარს ტფ. ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილება გაარჩევს საქმეს „ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორის რ. ბებიაშვილისას, რომელიც სასჯელთა დებულების 1039 მუხლის ძალით სამართალში მიცემულია იმის გამო, რომ ამ გაზეთის მე-198 №-ში დაბეჭდა წერილი: „ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ცხოვრებიდან“.

ამავ დღეს ამავ განყოფილებაში გაირჩევა ამავ რედაქტორის მეორე საქმე. ბრალს სდებენ სასჯელთა დებულების მეორე ნაწილის მე-1024 მუხლის ძალით ხსენებულ გაზეთის მე-№ 112-ში სატახტო გაზეთ „რეჩ“ იდან წერილის გადმობეჭდვისათვის, რომელსაც სათაურად ჰქვიან: „მამა ვოსტორგოვი“

✦ როგორც გავიგეთ, აპრილის დამლევს პეტერბურგიდან ჩამოვა გრიგოლ რობაქიძე და წაიკითხავს ორ ლექციას ქართულად: **„ნიცშე“ და „იდეა ჰამლეტისა“** ამავე ლექციას გაიმეორებს რუსულადაც.

✦ **ავჭალის აუდიტორიაში**. შაბათს, 29 იანვარს, **მარიამ დემურიას** გარდაცვალებას წლის თავზე მის ხსოვნის პატივსაცემლად ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „მეზობლები“ დრ. 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ ტრამვაის დირექცია კიდევ 8.448 მანეთით **დააჯარიმა**.

✦ მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა წელს 800 მანეთი გადასდო **სოხუმის სამეურნეო საზოგადოების** სასარგებლოდ.

✦ **ზუგდიდში თოვლი**. ერთს საჟენზე დაუდვია. სხვა და სხვა დაწესებულებებში საქმის წარმოება შეჩერებულია.

✦ **ტრიფ. რამიშვილის პიესა** „მეზობლები“ ოსურად ითარგმნება.

✦ მკითხველებმა იციან, რომ სამხედრო საინჟინერო უწყებასა და ტფ. ქალაქის თვითმმართველობას დავა აქვს საიუნკრო სასწავლებელთან მდებარე ადგილის გამო, რომელსაც **„ობსერვატორიის შესახვევი“** ჰქვიან. ეს შესახვევი ამ ჟამად სრულიად გაუქმებულია. გუბერნატორი გუშინ ქალაქის გამგეობას შეეკითხა ამ შესახვევის გამო და, სხვათა შორის, სთხოვა აცნობოს, ვის ხელშია ამ ჟამად ეს სადავო ადგილი.

✦ 8 თებერვალს ქართულ თეატრში წარმოდგენა გაიმართება სემირეჩიის მხარეში მიწის ძვრისაგან **დაზარალებულთა** სასარგებლოდ.

✦ 26 იანვარს ტფილისში შეიპყრეს ბორჯომის მცხოვრები არჩილ თევდორეს ძე დანელია, რომელიც ადმინისტრატიულის წესით **გადასახლებული** იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 26 იანვრისთვის დანიშნული ქალაქის საბჭოს **სამეურნეო კომისიის** კრება არ შესდგა, წევრთა დაუსწრებლობისა გამო.

✦ გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა ქალაქის მეტეხის უბნის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი და ყველგან შესაფერი განკარგულება მოახდინა.

✦ 26 იანვარს ტფილისში 20 უპასპორტო შეიპყრეს.

ჟურნალისტის დღიური

2.

ჩვენი სინამდვილე.

ჯერ კიდევ კარგად ეხსომება ყველას, რა საზიზღარს საქმეებს არ სჩადიოდნენ ქვეყნის ნაძირალანი, ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნელობით ეგრედ წოდებულ განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს. ჩვენმა ქვეყანამ ბლომად წარმოშობა ისეთი ელემენტები, რომელნიც ხალხის მეგობრობის სამოსელში ეხვეოდნენ, დანავარდობდნენ სოფლებში, სარგებლობდნენ ამღვრეულის წყლითა და ხალხის უმეცრებით და საზიზღარ პარაზიტებად დასწოლოდნენ ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხებს. ეს იყო რაღაც ვაკხანალია მადა-გაღვიძებულ უსაქმო ვაჟ-ბატონებისა, რომელთაც სურდათ ადვილის საშუალებათა და მცირე შრომით თავისი საკუთარი მატერიალური კეთილ-დღეობა აეგოთ სხვის უბედურებაზე. მეტად შემაძრწუნებელი იყო ეს თარეში თავზე-ხელაღებულ ვაჟბატონებისა.

გავიდა დრო. აბობოქრებული ტალღა მინელდა, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. გვეგონა, რომ ყაჩაღური ინსტინქტები ზნეობა-დაცემულ ადამიანებისა სამუდამოდ აღმოიფხვრა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი ცხოვრების სიღრმეში ჩამარხული ბოროტების თესლი არც ისეთი ადვილი აღმოსაფხვრელი ყოფილა.

გუშინდელ ახალ-ამბავში ჩვენი მკითხველი წაიკითხავდა, რომ ქართლში ვიღაც უცნობი პირები დადიან და ხალხში ხმებს ავრცელებენ, კახეთის რკინის გზის გაყვანას მაისში დაიწყებენ, არტელებს ვადგენთ და ვისაც ჰსურს არტელში ჩაწერა, ბედ ხუთი მანეთი წარმოგვიდგინოსო. ეჭვს გარეშეა, ეს უსირცხვილო, წრეს გადასული შანტაჟია. საკითხი არტელების დაარსების შესახებ ჯერ პრინციპიალურადაც არ გადაწყვეტილა, არ შემდგარა სათანადო ორგანიზაციები, და სოფლებში კიდეც ფულს აგროვებენ ამ მიზნისთვის. რა უნდა ჰქნას იმედ-გაცრუებულმა, ნდობა-დაკარგულმა გლეხმა, როდესაც მათ მართლა მოუწოდებენ არტელების შესადგენად?

ჯერ საქმე არ დაწყებულა და ქვეყნის ნაძირალნი ეხლავე ნდობას უკარგავენ ამ საქმეს. ამიტომ სოფლის ინტელიგენციამ, მღვდლებმა, მასწავლებლებმა, საზოგადოთ სოფლის შეგნებულმა ელემენტმა თავიდანვე უნდა მოსპონ ეს საძაგლობა და გლეხები გააფრთხილონ. ეს ზნეობრივი მოვალეობაა თვითოეულ შეგნებულ ქართველისა, და ჩვენც განსაკუთრებულ სოფლის ამ შეგნებულ ნაწილს მოვიწვევთ ყაჩაღურ ინსტიქტებთან საბრძოლველად.

შინაური.

ეროვნული საკითხი კავკასიაში

(იუ. ფ. სემიონოვის ლექცია მოსკოვის პოლიტეხნიკურ მუზეუმის აუდიტორიაში 18 იანვარს).

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

იშვიათად უგრძვნია ამ სტრიქონების დამწერს ისეთი სიამოვნება, როგორც ხსენებულ ლექციის სმენის დროს. საზოგადოდ, ვისაც-კი წაუკითხავს ჩემს ხსოვნაში აქ, მოსკოვში საჯარო ლექცია კავკასიაზე და კავკასიელებზე, თითქოს თავის წმიდა მოვალეობათა სთვლიდა კავკასიელები რაღაც ველურებად დაესახა ნათ. საზოგადოება გამსჭვალულია იმ აზრით, რომ კავკასიაში მარტო ძარცვა-გლეჯა და კაცის კვლა ხდება, რომ აქ დღისითაც კი საშიშია ქუჩაში სიარული... იმას ხომ თითქმის ვერავინ გეტყვით, რითი განირჩევა ქართველი სომხისაგან, უკანასკნელი კიდე—ჩერქეზისაგან ან ქისტისაგან... ყველა ესენი რუსულ საზოგადოების დიდ უმრავლესობის ფანტაზიის ერთ ჯგუფში მოუყრია—„ველური აზიატთა“ ჯგუფში.

და აი ამიტომაც მესიამოვნა ბ-ნ სემიონოვის ლექცია. რა თქმა უნდა, უნაკლულო არც ის იყო, მაგრამ მისი უდავო ღირსებაა—ჯერ ერთი კავკასიელ ეროვნებათა შორის განმაცალკევებელ ხაზის გასმა, ქართველების სომხებისაგან, სომხების თათრებისაგან გამოყოფა და მეორეც ის, რომ მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება და ეროვნული ლტოლვილებანი შედარებით მკაფიოდ არის დასახული.

როგორც ვსთქვი, ლექტორმა მარტო ქართველებზე, სომხებზე და თათრებზე ილაპარაკა, დიდხანს შეჩერდა ამ ერების რუსეთთან დამოკიდებულების ისტორიაზე, აღნიშნა, რომ სამივე ეროვნება თავიდანვე წრფელის გულით ეკიდებოდა რუსეთს, ამ უკანასკნელმა კი თავისი უკუღმართ პოლიტიკით სრულიად შეუცვალა აზროვნება და რუსეთის მტრებად გადააქცია. კავკასიის ნამესტნიკის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის უქვეშევრდომილეს მოხსენებით ხელში, ლექტორმა ვრცლად დაასაბუთა ეს თავის დედააზრი, მოიყვანა თვალსაჩინო ფაქტები ამგვარ „პოლიტიკისა“: გლეხკაცების „ნადელების“ ნაძალადევი სახელმწიფო ჩამონაჭრებად ქცევა, კავკასიის მკვიდრთა შორის გერმანელებისა და რუსების დასახლება, სკოლებში გარუსების პოლიტიკის გამეფება, სამშობლო ენის დევნა, სომხების საეკლესიო მამულების ჩამორთმევა და სხვა.

თუ ვინმე მკითხავს, რა სახელი უნდა ეწოდოს ამგვარ პოლიტიკას, მე მას სეპარატიულს ვუწოდებ—ბევრად უფრო სეპარატიულს, ვიდრე ქართველებისა ან სომხების ვითომ და განზრახვა დამოუკიდებელ სამეფოების დაარსებისაო—სთქვა ლექტორმა და კვლავ დასძინა: „ნამდვილი სეპარატისტი ის არის, ვინც ერთმანეთს უსისინებს არა რუსებს ვინც ეუბნება მათ: ჩვენ რუსები ვართ, თქვენ კი არა ხართ და ვერც იქნებით, მანამ არ დაივიწყებთ ყველა იმას, რაც რომ ახასიათებს თქვენს ეროვნულ ცხოვრებასაო“.

ასეთი პოლიტიკა ლექტორმა შეადარა ინგლისის ბრძნულ პოლიტიკას კანადაში მაშინ, როდესაც კავკასიელი, არა რუსები გამსჭვალულნი იყვნენ რუსეთისადმი სიყვარულით. კანადაში (1839 წელს) ზარბაზნების ჭექა-ქუხილი ისმოდა, სისხლი იღვრებოდა—ჩვენს დროში კი, როცა კავკასიაში სისხლი იღვრება და სომეხ-თათართ ერთმანეთსა ჟლეტდენ, კანადელები ამაყობენ ინგლისის ქვეშევრდომობით, თავისად სთვლიან ყველა მის ავ-კარგსა.

ისტორიულ მაგალითებს დაკვირვება უნდა, ჩვენ უნდა ჭკუა ვისწავლოთ ინგლისელებისაგან, თუ გვსურს ჩვენი მფლობელობა კავკასიაში მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთო. თავდაპირველად-კი უნდა შევისწავლოთ კავკასია და კავკასიელი ერები, დავუკვირდეთ მათს ცხოვრებას, გავიგოთ მათი ავი და კარგი. დღეს კი ასეთი ცოდნა იშვიათია რუსეთში, იშვიათად თუ ვინმემ იცის ნამდვილი რამ ჩვენ სამხრეთელ, განაპირა ქვეყანაზე. ყველამ უნდა ხელი შევუწყოთ ამ გაცნობას, არა რუსებიან კეთილ განწყობილების დამყარებას, მათ ეროვნულ კულტურის თავისუფლების აღიარებას. ეს ჩვენი ვალია, ამას მოითხოვს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა, ამით ჩვენ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს შევასრულებთ.

ლექციის კრიტიკა რომ მნდომოდა, ბევრი რამ ითქმოდა მის შინაარსზე,—მაგრამ, როგორც ვსთქვი, ამ-ჟამად მხოლოდ მისი დედააზრის დაფასება მქონდა და მაქვს მიზნად აღებული; სასურველია, რაც შეიძლება მეტი იქნეს ამ-გვარი რამ წაკითხული. ამით ხელი შეეწყობა ჩვენ ქვეყანაზე საღ აზრების გავრცელებას რუსეთის საზოგადოებაში; ეს-კი საყურადღებო და საგულისხმიერო საქმეა! **გრაკხი.**

სალიტერატურო საღამო ქუთაისში

სალიტერატურო საღამოები იმ სახით, როგორადაც ამ უკანასკნელ დროს იმართება ხოლმე ჩვენში, სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია. მართალია გარეგნულ მხარეს თუ დავემყარებით, ზოგიერთ ავტორ-ლიტერატორის გადმოცემა (ლექსი თუ პროზა) მართალ-არტისტიულ ელფერს მოკლებული გვეჩვენება, მაგრამ ერთ ადამიანს ორი საუნჯის ხელთ პყრობა არ უნდა მოეთხოვოს. იშვიათია ადამიანი მწერალიც იყოს და მსახიობიც!

ამგვარი საღამოების უმთავრესს ღირსებას ის შეადგენს, რომ იგი წარმოადგენს ნათელს სარკეს, სადაც ორი მხარე, მწერალი და მკითხველი პირისპირ ჰხედვენ ერთმანეთს, სულიერად ახლოვდებიან და ეცნობებიან.

რომ სასურველია ასეთი „სალიტერატურო საღამოები“ ეს ცხადია, მაგრამ ვაი თუ ამასაც „სალიტერატურო გასამართლების“ ბედი ეწვიოს?..

ჩვენ, საზოგადოდ, ყოველსავე ახალს ფიცხელის თანაგრძნობით შევხვდებით, მაგრამ მალე ისევე ფიცხელის გულ-გრილობით ვშორდებით ხოლმე.

„ლიტერატურულმა“ გასამართლებებმა ქუთაისში შარშან ხალისი და საზოგადოების ინტერესი გამოიწვია, მაგრამ იგი ჩვენმა ინტელიგენციამ ისე მიივიწყა რომ, ვგონებ, გახსენებასაც კი აღარავინა ჰფიქრობს.

„სალიტერატურო საღამო“ რომელიც ქუთაისში 21-ს უნდა გამართულიყო, გაიმართა 24 იანვარს,

საღამოს დაწყების წინ სუფლიორის ბუდკასთან გამოჩნდა ვ. ურუშაძე. საზოგადოდ დაცდილი აქვს მაყურებელს, თუ ამ დროს კულისებიდამ ვინმე გამოეცხადა, კაი ამბის მახარობელი არ უნდა იყოს.. ასეც მოხდა.

„ბბ!—დაიწყო ურუშაძემ. —დიდი თოვლის გამო აკაკი საჩხერიდამ ვერ ჩამოვიდაო.

ხალხში უკმაყოფილება გაისმა.

— ამას გარდა,—განაგრძო მახარობელმა,—ბათუმიდან ზომლეთელი და რუხაძე ველარ ამოვიდნენ.

უკმაყოფილებამ იმატა.

— ამას გარდაო,—კიდევ არ დაიწყო.—გურიიდამ ჩავლიშვილი თავისი ხოროთი ვერ ჩამოვიდაო.

ის იყო დააპირა ერთი „ამის გარდა“ კიდევ წარმოეთქვა, რომ ხალხში არეული ხმები გაისმა, გარჩევა არაფრის შეიძლებოდა და მახარობელიც გაიპარა.

ფარდა აიხადა. სცენაზე ორივ მხრივ ისხდნენ საღამოში მონაწილენი. შუაში პატარა ხორო გურულებისა, ჩოხებში გამოწყობილი, რომელმაც ორი-სამი სიმღერა შეასრულა.

პირველად ლეო ნათაძემ ახალგაზრდა მწერალ ქალის ბაბილინას ნაწარმოები დაახასიათა. დახასიათება საზოგადოდ მოსაწონი იყო.

ერთი ცოცხალი ადამიანი ამ პიესაში მარტო „ხანუმაა“. უეჭველია ეგრეთი ხელოვნება მოიკოჭლებს, უეჭველია მაგნაირი ჰიმართულება სცენის ხელოვნებისა ცალმხრივია, ვიწრო და როგორც ეგრეთი ავტორის შემოქმედების დამახასიათებელი. კიდევ კარგი, როცა სცენას ჰყავს სარა ბერნარი, ელეონორა დუზე და თუგინდ ჩვენი ღარიბი სცენა რომ გავიხსენოთ, საფაროვისა და გაბუნიას ქალები, გინდ ვ. აბაშიძე და ვლ. მესხიშვილი. როცა ეგრეთი შეუდარებელის ნიჭით მოსილია არტისტი მას ყოველთვის შეუძლია მოხიბლოს საზოგადოება, ყოველთვის შეუძლია საზოგადოების ყურადღება მიიქციოს ერთის წერტილისაკენ, რომელსაც ჯადოსნურის სინათლით გააშუქებს, მაგრამ რაც უნდა იყოს—ეგ მაინც ნახევრად დაკმაყოფილებული გემოვნებაა, ეგ მაინც ნახევრად აღსრულებული ხელოვნებაა.

ნუ თუ „ჰამლეტში“, მარტო ჰამლეტი რომ გამოვყოთ და მისი სიტყვები წაიკითხოთ რაიმე მთლიან, რაიმე ხელოვნურად აღსრულებულ შთაბეჭდილებას განიცდით. არა, ჰამლეტი მაშინ შეიძლება შეითვისოთ და შეისისხლხორცოთ, მისი დიდებულის სულის კვნესა მაშინ მოხვდება თქვენს გულს, მისი ნაღველი და კაეშანი მაშინ, მხოლოდ მაშინ შექმნება თქვენთვის გასაგები, თუ მას გარს ახვევია პოლონიუსის სიცრუე, როზენკრანცისა და გილდენშტერნის ამ ტიპიურის კარისკაცების ოინბაზობა, თუ მისი ყნოსვა სასახლის დამყაყებულის ატმოსფერითაა მოწამლული, ყური პოლონიუსების გაიძვერულ სიტყვა-პასუხით შეწუხებული და თვალები მეფე-დედოფლის ურცხვობით ნატკენი. ის ვინც მარტო „ჰამლეტს“ დაგვისურათებს ის შექსპირის „ჰამლეტს“ კი არ გვაჩვენებს, თავისს საკუთარ „ჰამლეტს“ გვაძლევს, „ჰამლეტს“, რომელიც შექსპირის უკვდავის ნაწარმოების ნაფლეთია, დახელოვნებულის ხელით დაბლანდული. ეს იქმნება „ჰამლეტი“ პოსსარტისა გინდ სალვინისა და ჰამლეტი მუნნე-სიულისა.

მთელი განსხვავება სასცენო ხელოვნების ძველისა და ახალის მიმართულების შორის სწორედ ამაშია, ამ შეხედულებაში პიესის შესახებ. ძველი—პიესაში, დრამატიულ ნაწარმოებაში მარტო ერთ პირადობას ხედავდა და აქცევდა ყურადღებას. ისე, როგორც ძველებური ისტორია მარტო მეფეთა და მხედართ მთავართა ცხოვრების აღწერილებს. ახალი სასცენო ხელოვნება, ისე როგორც ახალის ტენდენციის ისტორიაც, მთელს ცხოვრებას აქცევს ყურადღებას, დრამატიულ ნაწარმოებში გამოხატულს და ამიტომაც ყოველივე მომქმედი პირი, ყოველივე სიტყვა მომქმედის პირისა ერთგვარად მნიშვნელოვანია, ერთგვარად საყურადღებო, რეჟისორი ერთგვარ კანონებსა გამოსცემს თავისს სამეფოში, ერთგვარის ცხოვრების წესს ამყარებს და მერე ნიჭისა და უნარის საქმეა, ვინ როგორ გამოიყენებს ამ წესს და ამ კანონს, თავისთავად ცხადია, რომ ნიჭიერი არტისტი თავის პირადობის კვალს დაამჩნევს მისგან აღსრულებულს, როლს შემოსავს ამ როლის თავისის ნიჭის შესაფერისის მომხიბვლელობით. მაგრამ რეჟისორის წინაშე იგი ისეთივე აღმასრულებელია გეგმისა, სასცენო წესისა, როგორც ეგრედ წოდებული, მეორე ხარისხოვანი პირადობა, მეორე ხარისხოვანის როლების აღმასრულებელი.

ამ გრძელის წინასიტყვაობის შემდეგ, უნდა შეუდგეთ, კერძო, ჩვენთვის საინტერესო საგანს, უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი ჩვენი სასცენო ხელოვნებაც გაჟღენთილია ამგვარის ტენდენციით და სიხარულით უნდა ვამცნოთ მკითხველებს, იმათ, ვისაც ჩვენის კულტურის ბედ-იღბალი გულსა სწვავს, რომ ჩვენი თეატრები შეძლებისა და გვარად მოსაწონებლად ასრულებენ ამ აზრს და ამის მიზეზით ჩვენმა სასცენო ხელოვნებამ პირდაპირ სახარბიელო ნაბიჯი წასდგა წინ. ეს მიმართულება უფრო მკაფიოდ ემჩნევა ქუთაისის თეატრს. ამ მიმართულების გატარებას ქუთაისის სცენაზედ უფრო ნაკლები დამაბრკოლებელი გარემოებანი ელობებიან წინ, აქედამ წარმოსდგა ის, რომ ქუთაისის სცენაზედ, რამდენიმე ნამდვილად **მხატვრული** წარმოდგენა იყო გამართული, რომელთაგანაც ყველაზედ უფრო საყურადღებო ჩვენის აზრით იყო „სიმახინჯე“ ბ. შიუკაშვილისა, რადგან პიესაც ორიგინალურია, ფრიად საყურადღებო, ამიტომ ჩვენ აქ ამ ნაწარმოებსაც გავარჩევთ და შემდეგ ქუთაისის დასის მხატვრულ შესრულებასაც აღვნიშნავთ.

კოტე აბაშიძე.

(შემდეგი იქნება).

ბ-ნმა ცახელმა მშვენიერი და დიდი ლექსი წაიკითხა, საზოგადოებამაც დიდის ტაშით დააჯილდოვა.

მოსაწონი იყო ბ-ნ ქუჩიშვილის ლექსები და გადმოცემა. უმჯობესი კი იქნებოდა, რომ ავტორს თავისი ხმის სიძლიერე გაეზომა და „ასამაღლებელი" პირდაპირის ყვირილით არ ეთქვა. ხმასაც დაზოგვა უნდა!

ბ-ნი ეშმაკი აღარ გამოგვეცხადა. მისი ლექსი სხვამ წაიკითხა.

ბ-ნი ნიკოლაიშვილის „ტუფლები" მშვენივრად იწყება. ყველას, ვისაც ბედმა აგემა ციხეში ყოფნა, თვალწინ დაუდგებოდა ნაცნობი სურათები, მაგრამ აქ პატივცემულ ავტორს ერთ რამეში უნდა ვუსაყვედუროთ.

მოთხრობის შუა ადგილი „მძინარე ქალის დასურათება" ისეთის „რეალიზმით" აქვს აწერილი, რომ იმის მსგავს დასურათებას არციბაშევის „სანინშიაც" კი არ შეხვდებით. ამგვარ სალამოებისათვის ეს ადგილი სწორედ საერთო ჰარმონიის დამრღვევად მიგვაჩნია. უნდა შეიბრალოთ, ბ-ნო, ის ახალგაზდობა, რომელიც „თვალ-დაქუეტილი და ყურ-აცქვეტილი" არც ერთ მარცვალს ამ ადგილისას გადუყლაპავს არა სტოვებდა. „ტაქტიკა" მოითხოვს, ეს ადგილი ავტორმა ზეპირად წაკითხვის დროს უფრო მოხერხებულად შესცვალოს.

წაიკითხეს თავისი ლექსები: ბაჩილინმა, გელამ ჩხიკვაძემ და თურდოსპირელმა.

აპოლონ წულაძეს ბევრი შრომა ხვდა წილად და ბევრიც იცინა საზოგადოებამ.

დასასრულ აღსანიშნავია ბ-ნ ირეთელის დროის შესაფერისი მოთხრობა. ავტორს გამოყვანილი ჰყავს ვინმე არჩილ ჯლანაძე. რომელმაც ერთ სალიტერატურო სალამოზე, სხვებთან ერთად, თავისი ნაწარმოებიც უნდა წაიკითხოს და ასიამოვნოს დამსწრენი. მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა მას სძაგს, ეზიზღება. იგი გამოდის არა მათთვის საამებლად, არამედ მათის თვალთ-მაქცობის და უსინდისობის გამოსამჟღავნებლად. და მართლაც არჩილ ჯლანაძემ დაიწყო თურმე:

— თქვენ გეუბნებით, თქვენ! პირველ რიგში რბილ სავარძელში ნებივრად რომ წამომჯდარხართ. სიმსუქნისაგან სკამზე აღარ ეტევით... აქ ამხელს მის ყოველ-გვარ ცოდო-ბრალს და შემდეგ გადადის მესამე რიგში, სადაც მანდილოსანი თავის ქმარს მხარში მიჰკვრია. აგერ მეხუთე რიგში ყმაწვილი კაცი, რომელსაც სათვალე აქვს ცხვირზე წამოდებული და სხვა.

ხალხში დაუსრულებელი სიცილი ისმოდა თუ ვინმე მისდა საუბედუროდ, ასეთი „საეჭვო" პირი გამოდგებოდა რომელიმე რიგში...

საზოგადოება ბლომად დაესწრო, უმთავრესად დემოკრატიული ნაწილი. ლოჟები პირწმინდად ცარიელი იყო. არც გვიკვირს! ლოჟის საზოგადოებას რითი დააინტერესებს ამგვარი ლიტერატურული სალამო!.. იგი გულისფანცქალით მოელის მხოლოდ ნიკულინის დასის წარმოდგენებს!.. ?

რუსეთის ბაზარი უკან იწევს

სახელ. სათათბიროს დეპუტატს ლ. კ. შემშინცევს ფრიად საყურადღებო ცნობანი შეუკრებია და წიგნად გამოუცია. (რუსეთის თანამედროვე სამეურნეო მანქანათა კეთება და მის განსავითარებელი ზომანი სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ).

პირველს თავში ავტორი სწერს: დიდს გულისხმიერობას ითხოვს ამ ბოლო ხანებში რუსეთში უცხოეთიდან შემოზიდული სამეურნეო მანქანები და იარაღი. სადამოწმო ცნობებიდან სჩანს, რომ წინედ უფრო ნაკლები შემოჰქონდათ, ვიდრე ეხლა. მაგრამ **1905** წლიდან იგი სწრაფად მატულობს. **1905** წელს **19** მილიონი მანეთისა შემოუზიდნიათ, **1906** წელს—**18,3** მილიონისა; **1907** წ. **20** მილიონისა; **1908** წ.—**24,6** მილიონისა; **1909** წელს—**40,9** მილიონისა ხოლო **1910** წ. პირველ **7** თვეში—**26,006** მილიონ მან. (წინა წელს ამ ვედროს **24,837** მილიონი მანეთისა იყო შემოზიდული.

უცხოელნი რუსეთის ბაზარზე მეტად სწრაფად იდგამენ ფეხსა და ბატონდებიან, განსაკუთრ. მინდვრის სამუშაოთა მანქანების შემოზიდვით. **1896** წელს სამკალი მხოლოდ **348** ათას მანეთისა შემოუზიდნიათ, ხოლო **1909** კი **3** მილიონზე ავიდა. **1899** წ. სამკალი და ძნის შემკრავი მანქანა **381** ათას მანეთის შემოუტანიათ, ხოლო **1900** წელს —**7** მილიონ მანეთისა.

სხვა უბრალო მანქანები **1899** წელს მხოლოდ **17,2** მილ. მანეთისა შემოუზიდნიათ, ხოლო **1905** წ. კი—**5,8** მილ. მანეთისა.

ორთქლით მამოძრავებელი სალეწი მანქანები **1909** წელს **8,4** მილ მანეთისა შემოსულა, ხოლო **1910** წელს პირველ **7** თვეში—**9,703** ათასი მან.

ამ ცნობებიდანაც ცხადია, თუ უცხოეთის მანქანები როგორ სწრაფად ვრცელდება რუსეთის ბაზარზე და რუსეთში დამზადებულ სამეურნეო მანქანებს რაც სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უწევს და ბაზრიდან სდევნის.

ძველი ტაძრის დანგრევა ალბულაღში

მკითხველებმა უწყიან, რომ მღვდელმა ივანკოვიჩმა ალბულაღის ძველი ეკლესია ნაღმით დაანგრია და ნაცვლად ახალი აავო. თუმცა ამან დიდი მიწერ-მოწერა გამოიწვია მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებასა და ეპარქიულ მთავრობის შუა, ივანკოვიჩი მაინც ისევ თამამად გაიძახის დანარჩენი კედლებიც უნდა დავანგრიოო, რადგანაც ახალ ეკლესია აზე ახლოა და შნოს უკარგავსო.

ეპისკოპოზი დავითი საკუთრივ შეუდგა მის გამოკვლევას, თუ რამდენად მართალია ეს ამბავი და რამდენად ღირს—შესანიშნავი იყო ხსენებული ტაძარი. არ ვიცი ბლაღოჩინმა ყანჩაველმა რა ჩვენება მისცა ეპისკოპოზს დავითს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ტაძრის დაშთენილი კედლები დიდს განძს წარმოადგენს, მისი მხატრობა, ქვის ჩუქურთმები და ძვირფასი მასალა გაოცებაში მოიყვანს მნახველს. ამ დღეებში შემთხვევით მოვხვდი ალბულაღში და შევნიშნე შემდეგი: შესავალ კარებში გარედან მარცხნივ მხარეს მაღლა ფილაქანზედ მშვენიერი ჩუქურთმებია, ქვაში ამოჭრილია ლომი. მარჯვნივ ქვაზე საუკეთესო ჩუქურთმაა, შუაში ამოჭრილია ირემი, რქებს შუა მტრედის სურათია, აქვე წარწერა ეტყობა.

კარების თავზე ქვები აღებულია. ახალ ეკლესიის სამხრეთ—აღმოსავლეთის კედელში გარედან ერთი არშინის სიმაღლეზე დატანებულია ძველი ეკლესიის ქვა, რომელზედაც დახატულია სურათი ლაშა გიორგისა ხელში შუბით, აქაც ეტყობა რაღაცა წარწერა.

აღმოსავლეთის კედელში ფანჯარის თავზე გარედან დატანებულია ქვა საუკეთესო ჩუქურთმით. ვინ იცის კიდევ რამდენი ამისთანა ქვები მოჰყვა ახალ აგებულ ეკლესიის კედლებში ან გაათლევინა მისმა „გადამკეთებელმა".

კარგი იქნებოდა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც ამისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია.

კოტე ფხანაურელი.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო თეატრი 26 იანვარს სახალხო სახლში სოსო ივანიძის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა „პატარა კახი", ისტორიული დრამა აკაკისა.

მოთამაშეთაგანში კარგი იყო ახკარა ტურფა, რომელმაც როლიც კარგად იცოდა და თავიც სცენაზე თავისუფლად ეჭირა. ახალგაზრდა მსახიობი ქალი არა ერთხელ გვინახავს სახალხო თეატრის სცენაზე და არასდროს არ უმტყუნნია თავის მოვალეობისათვის.

პატარა კახის როლს მეტრეველი თამაშობდა და სამართლიანად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლომდის პირნათლად შეასრულა.

კოტე შელიძე და თვით მოსაბენეფისე სოსო ივანიძე კარგები იყვნენ პირველი გიგისა, ხოლო მეორე ბედას როლში.

საზოგადოდ სცენის მოყვარეთ მეცადინეობა ეტყობოდათ და ვუსურვებთ სახალხო თეატრის სცენაზე მათ წინ მსვლელობას. მუშათა მუშაობა თავდებია იმისა, რომ დიდ სამსახურს გაუწევენ მშრომელ ხალხს.

ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაბრუნდა სახლში.

უცხოეთი

ინგლისის საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვა

სადმირალოს განზრახვა აქვს, ფლოტის მოულოდნელ ხარჯებისთვის 5.000.000 გირვანქა სტერლინგის გადიდება მოითხოვოს. საზღვაო სამინისტროს საერთო ხარჯთ-აღრიცხვა 45.000,000 გირვანქა სტერლინგამდე იქნება. ეჭვი არ არის, ხარჯთ-აღრიცხვის ასეთი გადიდება პარლამენტში დიდ აურ-ზაურს გამოიწვევს, რადგან ამ საკითხს მუშათა პარტია მეტად მტრულად უყურებს.

ოსმალეთი და ბოლგარია.

როგორც სოფიიდან სტატტო გაზეთებს ატყობინებენ, სასურველად დასრულებული მოლაპარაკება, რომელიც ჩქარა შედეგად მოჰყვება სტამბოლში ოსმალეთ-ბოლგარიის საკავშირო ხელშეკრულობის დადება. ორთავე მხარეს დათმობის ტაქტიკა აურჩევია და ამ რიგად ხელშეკრულობა პრინციპიალურად გადაწყვეტილია. საზღვრის მხრივ, რედაქცია გაუგზავნის ზოგიერთ მუხლებს, რასაც რამდენიმე დღის შრომა დასჭირდება. ერთი—ორის კვირის შემდეგ ხელშეკრულობას ორთავე მხარე ხელს მოაწერს.

ფინანსთა მინისტრის მოკვლა თეირანში.

22 იანვარს თეირანის უმთავრეს ქუჩაზე რევოლვერის სამის ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრეს სპარსეთის ფინანსთა მინისტრი სანი-ედ-დოულე. მსროლელნი სცადეს ინგლისის საელჩოში დამალვა, მაგრამ შეპყრობილ იქმნენ.

მკვლელი ქართველი აღმოჩნდა გვარად კვაკაძე, რომელიც წინად მინისტრის პლანტაციაზე მუშაობდა და შრომის ფასი სრულიად არ ჰქონდა მიღებული. მეორე ქართველი, ბერბერაშვილი, შემთხვევით მიდიოდა ქუჩაზე და რა დაინახა, რომ მის თანამემამულეს ხალხი უწყალოდ სცემდა, გამოეშველა და ერთხელ რევოლვერი ჰაერში გაისროლა. გაიმართა სროლა პოლიციელებსა და ზემოხსენებულ ქართველთა შორის. დაიჭრა სამი პოლიციელი. ერთი მძიმედ, ორი მსუბუქად. ქართველი ცემისაგან სულ დაშავებულია. ქართველებს, როგორც რუსეთის ქვეშევრდომებს, გარეშე საქმეთა სამინისტროში გაასამართლებენ. განაჩენს სისრულეში რუსეთში მოიყვანებენ.

ამბოხება არაბეთში.

ოსმალეთის მთავრობა ძალიან შეფიქრიანებულია არაბეთის ამბოხებით. არაბები არა თუ არ სცხრებიან, პირიქით შემთხვევას არ უშვებენ, რომ ოსმალეთის ჯარს მოულოდნელად თავს არ დაეცნენ. 22 იანვარსაც მეამბოხენი ხოდეიდის მახლობლად ანაზდად დაეცნენ თავს ოსმალეთის ჯარს და თავზარი დასცეს. ჯარი საშინლად დამარცხდა, გაიქცა და ბრძოლის ველზე ორი ზარბაზანი დასტოვეს. ამის შემდეგ ხოდეიდიდან მეამბოხეთა წინააღმდეგ გაგზავნილ იქმნა დიდძალი ჯარი, რომელმაც ძლივს მოახერხა წართმეულ ზარბაზნების უკან წამოღება.

რუსეთი

ბუტირკის ციხის ტრაგედია.

ამას წინად დეპეშამ გვაუწყა ის ამბავი, რომელიც მოხდა ბუტირკის ციხეში. ამ ამბავს ეხლა დაწვრილებით ასე აღწერენ:

პოლიტიკურ პირს რომელიც თავდასხმის შემდეგ ციხეში მისულა, ასე ულაპარაკნია „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტთან.

პირველი ხმები, რომელიც გავრცელდა გაზეთების საშუალებით, სრული ჭეშმარიტება არ არის. ოთხი ზედამხედველის მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ სამი პოლიტიკური კატორღელი. ამ ჟამად დანამდვილებით არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მათი მონაწილენი სხვა ტუსაღებიც იყვნენ, რომელთა რიცხვიც ციხის სახელოსნოში 60-70 ტუსაღ მომუშავემდე უწევს. ამას ჩვენ გამოძიება დაგვანახვებს. ამ საქმეში, როგორც ზევითაც გვ სთქვი, სამი პოლიტიკური კატორღელი იღებდა მონაწილეობას; ესენი თვითონ აღიარებენ თავიანთ დანაშაულობას.

მკვლელობა ასე მომხდარა: სახელოსნოში მუშაობის დროს ორი პოლიტიკური კატორღელი მისულა მორიგე ზედამხედველთან და მოუთხოვნია სამუშაო მასალა. მორიგე ზედამხედველი მოკალე უთქვამს მასალა მიეცა. მოთხოვნისათანავე ის საწყობში წასულა, რომელიც სახელოსნოს დაბლა ყოფილა. როდესაც კი ზედამხედველი საკუჭნაოში მისულა, უკან ერთი ტუსაღი გაჰყოლია და დასახრჩობად ყელში ხელი წაუჭერია, მეორეს თავში ჩაქუჩი ჩაურტყამს. პირველ ტუსაღს ისე მაგრა წაეჭირა ყელში, რომ ხერხემლის ძვლები მთლად დაამტვრია. ზედამხედველი იქვე უხმოდ დაცემულა, შემდეგ ტუსაღებს იარაღი აუხსნიათ და სამუშაოდ გამოსულან. ერთს მათგანს დაუყვირნია, ზედამხედველს საწყობში გული შეუღონდაო. საწყობში მეორე ზედამხედველი წასულა, მას უკან კიდევ სხვა ზედამხედველი მიჰყოლია; ამ ორ ზედამხედველს უკან, ერთი ტუსაღიც გაჰყოლია. ზედამხედველები წასულან თუ არა, ტუსაღს ორივე რევოლვერით დაუხოცნია, გამოკვლევიდან სჩანს, რომ უკანიდან უსროლია. უკანასკნელად წასულ ზედამხედველს 15 ჭრილობა აღმოაჩნდა.

ტალანში კიდევ ერთი ზედამხედველი მდგარა. მისცვივნიან და ისიც მოუკლავთ, სწორედ იმ დროს, როდესაც თურმე ციხის მთავრობას ზარით ამ საშინელ ამბავს ატყობინებდა.

ამ აურზაურზე ციხის მთავრობა შემოსულა, ამ დროს გუბერნატორიც მოსულა. ტუსაღები სახელოსნოში ჩაკეტილან. ციხის ინსპექტორს ტუსაღებთან მოლაპარაკება გაუმართავს. ტუსაღები დანებებულან იმ პირობით, თუ რა ფერს დაუშავებდნენ.

მკვლელთაგანი ორი დატიმელი ყოფილა, რომელთაც „ლატიშთა რესპუბლიკის" გამო ჩამოხრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ შემდეგ ჩამოხრჩობა 20 წლის კატორღაზე შეუცვლიათ; ერთიც—პოლონელი. სამხედრო სასამართლოს მისთვის 20 წლიწადი კატორღა მიუსჯია.

წვრილი ამბები

სად რამდენ საპონს ხმარობენ.

ფრანგულ გაზეთ „მატენ"-ში მოთავსებულია საყურადღებო ცნობა, თუ სხვა და სხვა ქვეყნებში კაცის თავზე წელიწადში რამდენი საპონი იხარჯება. პირველი ადგილი ინგლისსა და ამერიკას უჭირავს. ინგლისში კაცს წელიწადში 21 გირვანქა საპონი უნდება, ამერიკელს—17 გირვანქა. მეორე ადგილი საფრანგეთს უჭირავს, კაცის თავზე წელიწ.—15 გირვანქასა ხარჯავს. მესამე—გერმანიას—კაცის თავზე 10 გირ. მეოთხე ავსტრია—კაცის თავზე 5 გირვანქას, ხოლო ყველაზე მაჩხალა, როგორც ყველაფერში, რუსეთი; კაცის თავზე რუსი წელიწადში მხოლოდ 2 გირვანქა საპონს ჰხარჯავს.

განცხადებანი

სპეციალური
სამკურნალო
კანისა, ვენერიულ. და ათაშანგის სნეულებათა.
მელიქოვის ქ. N 9, გარანოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები ზ. ა. ბედალინი და ი. გ. ზაბლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა იღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

შესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წვრილი. (0—6—19)

ქალის ტანისამოსი
3 მან. 15 კაპ.

ვუგზავნი ფოსტით ფასდადებით, ჩინებულად შეკერილს, ზედა იუბკას მატყლისას, ახალ მოდისა. ტრიკოსას ყვავილგვარის ფერისას. ფილაქებითა და ყაითნით შემკულს, ხალათის საზღვარ-გარეთული ნაშუშვარი, საზღვრები და საყელო ფერადებით შემკული—ფასი 3 უბკა 3 მან. 15 კაპ. საუკეთესო ხარისხისა—3 მ. 75 კ. გაზავნის 45 კაპიკობით. 3 იუბკასა და 3 ხალათის დაბარების დროს გაგზავნას ფირმა კისრულობს. დაწუნებულს ფირმა უკანვე ღებულობს და ფულს უბრუნებს.

ადრესი: Суконно-шерстяной мануфактуръ Лодзь N 18-я Метцль 2678 8—31—4

მიიღება ხელის მოწერა
ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).
ცხოვრება და ხელოვნება

ფასი წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად, არა საკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თანამშრომლობის მიღებისთვის. განყოფილებათა რედაქტორები.

პუბლიცისტიკა ფ. გოგიჩაიშვილი, სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. არაგვისპირელი. (ბელეტრისტია) სიტყვა-წყობილი მწერლობა გ. შ—ლი. (პოეზია) პედაგოგიკა ალ. მდივანი. მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე ისტორია იუს. აბულაძე. მედიცინა გ. ღამბაშიძე. მუსიკა ზ. ფალიაშვილი. დრამა გ. მალიკაშვილი. ხალხური ხელოვნება გ. მეხშიშვილი. კრიტიკა და ბიბლიოგრ. ი. გართაგავა. ბუნების მეტყველება ხ. იაშვილი. მიმოხილვა გ. გუნია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭვდა „როსტომიანისა" (ფირდუსის შაჰნამეხე) და შ. დადიანის დრამა „მღვიმეში".

რედაქცია. ტფილისი. სათავად-აზნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზედ, ტელეფონი N 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტი ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „НОВАЯ РѢЧЬ".

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства, рядомъ съ театромъ. Редакція „Цховреба да Хеловнеба". რედაქცია ღიაა—10—3 ს. (ნ—უ—2)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გაიხსნა
მუხრანსკის ახალი კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—19)

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოცემული ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
წიგნი
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული სოფიო ი. სიმონოვის მიერ. ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ. (100—336—16)

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. შ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგაბაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

თ. ვ. გეგეჭკორი-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარცინოვსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. 606 წამლობა
კონსულტატიურად
რჩევა 50 კაპ. დარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

„ნაკადული"
(წელიწადი მეშვიდე)
1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს
24 წიგნი მცირე წლოვანთათ 12 წიგნი მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ: 1. ლევ. ტოლსტოის ბავშვობა და სიყრმე, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით «ნაკადულისათვის», ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. რჩეულ მოთხრობათა კრებული.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა ხუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მაეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურო ქარვასლაში).

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.
გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილ.

გ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთლევის მრეწველობის
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზიას
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
აგრე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—90)
ერთად-ერთი საწყობი ფოთლევის მრეწველობისა.